ბომბარდირმა გახსნა ანგარიში

ალმა-ათა. ცენტრალური სტადიონი. 18 მაისი.

“კაირატი” (ალმა-ათა) - “დინამო” (თბილისი) - 1:1 (0:0).

“კაირატი”: ბუბენეცი, დიშლენკო, მუსინი, ფედოტოვი, ასილბაევი, დოლმატოვი, კვოჩკინი (მაგზამოვი), გლები, აბგოლცი, სეგიზბაევი, ტიაგუსოვი.

“დინამო”: ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი, კუტივაძე, ილიადი, ასათიანი, მეტრეველი (ლ. ნოდია), გ. ნოდია, გავაშელი.

მსაჯი: პ. კაზაკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები - 0:0.

“კაირატი” ახლა არ გახლავთ ის “ხელწამოსაკრავი” გუნდი, რომელთანაც ასე იოლი იყოს ქულების აღება. ალმაათელმა ფეხბურთელებმა საუცხოოდ აიღეს სტარტი და არა თუ შეინარჩუნეს მონაპოვარი, ენერგიული, მონდომებული თამაშით ლიდერთა შორისაც კი დაიმკვიდრეს ადგილი. შეიძლება ითქვას, “კაირატს” რეალური პერსპექტივა აქვს გაინაღდოს თავისი პროგრამა-მინიმუმი: პირველ შვიდეულში გასვლა.

არ შეუშინდა “კაირატი” ისეთ მრისხანე მეტოქესაც, როგორიცაა თბილისის “დინამო”. მატჩს პირველივე წუთებიდან ჰქონდა შეუპოვარი, ძალზე დაძაბული ხასიათი. პირველ წარმატებას მიაღწიეს მასპინძლებმა. მიმდინარეობდა 26-ე წუთი, როცა მათ სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს, ურუშაძემ მოიგერია ძლიერად დარტყმული ბურთი, მას მოუსწრო აბგოლცმა და - 1:0.

ეს გოლი “დინამომ” გაქვითა 57-ე წუთზე. კაირატელთა მხარეს დაინიშნა საჯარიმო. ხურცილავას დარტყმული ბურთი მოხვდა ერთ-ერთ მცველს, მოუგორდა გავაშელს და ამ უკანასკნელმა აიძულა ბუბენეცი კარიდან გამოეტანა იგი - 1:1. ეს შარშანდელი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის პირველი გოლია წლეულს.

დარჩენილ დროში შეტევაზე თბილისელები იყვნენ. მათ არაერთი სახიფათო მომენტი შექმნეს, მაგრამ მასპინძლებმა შეძლეს ანგარიშის შენარჩუნება.

ა. ვერემიევი (ტელეფონით).

“ლელო”, 20 მაისი, 1969 წ.